სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი აწარმოე საქართველოში (შემდგომში - სააგენტო):

- ***მიზნად ისახავს*** სააგენტოში სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნას.
- ***აცნობიერებს,*** რომ:
  - სექსუალური შევიწროება არის დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც პირისთვის ქმნის არაკომფორტულ და დამამცირებელ გარემოს;
  - სექსუალური შევიწროება არის ნებისმიერი *პირის მიმართ* ***არასასურველი სექსუალური ხასიათის სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა,*** *რომელიც* ***მიზნად ისახავს ან იწვევს*** *მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს;*
  - სექსუალურ შევიწროებას შესაძლოა დაექვემდებაროს ნებისმიერი პირი მისი სქესის, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური სტატუსის, სამსახურებრივი პოზიციის ან სხვა ნიშნის მიუხედავად;
  - სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს როგორც სხვადასხვა, ასევე ერთიდაიმავე სქესის მქონე ადამიანებს შორის;
  - სექსუალური ხასიათის ნებისმიერ ქცევას, რომელიც მეორე პირისთვის არანებაყოფლობითი და არასასურველია და მას არაკომფორტულ გარემოს უქმნის, არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება;
  - სექსუალური შევიწროება მსხვერპლის ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე განსაკუთრებით უარყოფით ეფექტს ახდენს, მათ შორის, ამცირებს მის სამუშაო პროდუქტიულობას;
  - სექსუალური შევიწროების ერთ-ერთი მძიმე ფორმა არის *მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ,* რაც პირისთვის სექსუალური მომსახურების ნაცვლად რაიმე სახის სარგებლის შეთავაზებას გულისხმობს;
  - სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს სააგენტოს თანამშრომლის ან/და სტაჟიორის მხრიდან, სააგენტოს თანამშრომლის, სტაჟიორის ან/და მესამე პირის მიმართ.
- ***იღებს ვალდებულებას*** სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტის შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირების შესახებ.

თავი I. დოკუმენტის მოქმედების სფერო

1. სექსუალური შევიწროება აკრძალულია სააგენტოში.
2. *სააგენტოდ* ჩაითვლება ნებისმიერი ადგილი, რომელიც გამოიყენება სააგენტოს საქმიანობის მიზნებისთვის, მათ შორის, სააგენტოს ცენტრალური ოფისი, ასევე, შენობის გარეთ სივრცეები, მათ შორის, შეხვედრები, მივლინებები, ტრენინგები, კონფერენციები.
3. სოციალური ქსელი, სააგენტოს კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება და სამუშაოსთან დაკავშირებული სხვა ადგილი/ღონისძიებები.

4. სექსუალური შევიწროება შესაძლოა განახორციელოს:

   ა. სააგენტოს თანამშრომელმა;

   ბ. სააგენტოს სტაჟიორმა.

5. სექსუალური შევიწროების მსხვერპლი შესაძლოა იყოს:

   ა. სააგენტოს თანამშრომელი;

   ბ. სააგენტოს სტაჟიორი;

   გ. ნებისმიერი სხვა პირი, რომლის მიმართ სექსუალური შევიწროება პირმა სააგენტოს თანამშრომლის ან სტაჟიორის სტატუსით განახორციელა.

6. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, სააგენტოს თანამშრომლად ჩაითვლება სააგენტოში მომუშავე საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირი და სააგენტოში შრომითი ან/და კონკრეტული პროექტის ფარგლებში მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირი.
7. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის, სააგენტოს სტაჟიორად ჩაითვლება „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N410 დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული პირი.

თავი II. სექსუალური შევიწროების ცნება

1. სააგენტოში აკრძალულია ნებისმიერი სახის სექსუალური შევიწროება.
2. სექსუალური შევიწროება არის ნებისმიერი *პირის მიმართ* ***არასასურველი სექსუალური ხასიათის სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა,*** *რომელიც* ***მიზნად ისახავს ან იწვევს*** *მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.*
3. სექსუალურ შევიწროებას აქვს ორი ფორმა:
   ა)***მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ*** (***Quid Pro Quo***), რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის მოთხოვნას რაიმე სახის სარგებლის სანაცვლოდ;

ბ) ***მტრული სამუშაო გარემო*** , ანუ სამუშაო ადგილზე დამაშინებელი, შეურაცხმყოფელი პირობების შექმნა.

4. სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოიხატოს, **მათ შორის,** შემდეგ ქმედებებში, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ ამოიწურება შემდეგი ჩამონათვალით:

სიტყვიერი

- სექსუალური ხასიათის ხუმრობა;
- კომენტარი ადამიანის გარეგნობის, ჩაცმულობის ან პირადი ცხოვრების შესახებ;
- კომენტარი ადამიანის სექსუალობის შესახებ;
- კომენტარი ადამიანის სექსუალური ორიენტაციის შესახებ;
- კომენტარი საკუთარი სექსუალური გამოცდილების/პრეფერენციების შესახებ;
- სექსუალური ხასიათის სახელების დაძახება;
- განმეორებით არასასურველი დაპატიჟება პაემანზე.

არასიტყვიერი

- სექსუალური ხასიათის ფოტოს/ვიდეოს ჩვენება ან ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით გაგზავნა;
- სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაციის ჩვენება;
- სექსუალური ხასიათის ტექსტის გაგზავნა ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით;
- პირადი სივრცის დარღვევა/საუბრისას მეორე ადამიანთან ზედმეტად მიახლოება;
- მზერა;
- სტვენა.

ფიზიკური

- სახეზე ან სხეულზე (მაგალითად, მხარზე ან წელზე) შეხება;
- ჩახუტება;
- ჩქმეტა.

5. სექსუალური შევიწროების ინდიკატორები, **მათ შორის,** შესაძლოა იყოს:

- ქმედების ხასიათი;
- მსხვერპლის მიერ სიტუაციის აღქმა;
- ქმედების ინტენსივობა;
- ქმედების განმეორებადობა;
- შემავიწროებლის შესაძლებლობა, მოახდინოს მსხვერპლზე გავლენა;
- მსხვერპლის დაუცველი მდგომარეობა;
- შემავიწროებელს და მსხვერპლს შორის ურთიერთობა.

თავი III საჩივრის განხილვის პროცედურა

1. **საჩივრის განხილვა**

ა) ნებისმიერმა პირმა, რომელიც თავს სექსუალური შევიწროების მსხვერპლად მიიჩნევს, თუ შესაძლებელია, სავარაუდო შემავიწროებელს უნდა შეატყობინოს, რომ მისი ქცევა არის არასასურველი და მიუღებელი;

ბ) თუ მსხვერპლს არ შეუძლია უშუალოდ მიმართოს სავარაუდო შემავიწროებელს, მას შეუძლია, სექსუალური შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივრით მიმართოს სააგენტოს დირექტორს ან/და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს. სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლი საჩივარს წარადგენს წერილობითი ან ზეპირი ფორმით;

გ) სავარაუდო მსხვერპლი საჩივარში მიუთითებს სავარაუდო შემავიწროებლის სახელს და გვარს, დაკავებულ თანამდებობას, მათი სამსახურებრივი/პროფესიული ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას, სექსუალური შევიწროების ფაქტებს. არსებობის შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლი საჩივარს თან დაურთავს მტკიცებულებებს (წერილობითი, ფოტო, ვიდეო, აუდიო და სხვა მასალა, მესამე პირების ვინაობა, რომლებიც შესაძლოა ფაქტის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ);

დ) სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივარზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება;

ე) აკრძალულია ვიქტიმიზაცია სავარაუდო შევიწროების ფაქტის შესახებ საჩივრის წარდგენის გამო.

2. **საჩივრის განხილვის პროცედურა**

ა) სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლის მიერ ზეპირი ან წერილობითი ფორმით საჩივრის წარდგენის შემდეგ, სააგენტოს დირექტორი ან ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, უფლებამოსილია შექმნას კომისია, რომელიც განიხილავს სავარაუდო შემავიწროებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს. კომისიის შექმნაზე უარის შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორი ან/და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, მხარეს გადასცემს წერილობით დასაბუთებულ გადაწყვეტილებას საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

ბ) კომისია შედგება სამი წევრისგან, რომელებიც არიან სააგენტოს თანამშრომლები;

გ) სავარაუდო მსხვერპლი ან სავარაუდო შემავიწროებელი, უფლებამოსილია მოითხოვოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, კომისიის რომელიმე წევრის სააგენტოს სხვა თანამშრომლით ჩანაცვლება; დ) „გ“ ქვეპუნქტში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილების და კომისიის ალტერნატიული წევრის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს დირექტორი ან/და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

ე) სააგენტოს დირექტორი ან/და ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრები, სავარაუდო მსხვერპლი, სავარაუდო შემავიწროებელი და კომისიის მიერ საქმის შესწავლის პროცესში ჩართული ყველა პირი, ვალდებულია, მკაცრად დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გაასაჯაროვოს კომისიის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია, გამოკვლეული მტკიცებულებები და მიღებული გადაწყვეტილება.

3. კომისიის უფლებამოსილება

კომისია უფლებამოსილია:

ა) გამოკითხოს სავარაუდო მსხვერპლი;

ბ) გამოკითხოს სავარაუდო შემავიწროებელი;

გ)გამოკითხოს სააგენტოს თანამშრომლები და მესამე პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ვინც შესაძლოა ფლობდეს საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

დ) გამოიკვლიოს საქმეში არსებულ ნებისმიერი მტკიცებულება;

ე) გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით, მიიღოს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ;

ვ) მის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, იმოქმედოს ამ დოკუმენტის IV თავით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

ზ) მის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, სააგენტოს დირექტორის ბრძანების შესაბამისად, შეწყვიტოს დისციპლინური წარმოება.

4. საჩივრის განხილვის ვადები

ა) სააგენტოს დირექტორი ან ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, კომისიას ქმნის საჩივრის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) სექსუალური შევიწროების საჩივართან დაკავშირებით, კომისია გადაწყვეტილებას იღებს არაუგვიანეს 1 თვის ვადაში;

გ) თუ დისციპლინური გადაცდომისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისთვის აუცილებელია 1 თვეზე მეტი ვადა, 1 თვიანი ვადის გასვლამდე, 10 სამუშაო დღით ადრე, სააგენტოს დირექტორი, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური წარმოების ვადის მხოლოდ ერთხელ დამატებით არაუმეტეს 2 თვით გაგრძელების თაობაზე.

თავი IV. დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. სააგენტოს თანამშრომლის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება კომისიის მიერ, სააგენტოს დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ:

   ა. საყვედური;

   ბ. სასტიკი საყვედური;

   გ. ხელფასის ერთჯერადად დაქვითვა მინიმუმ 50%-ის ოდენობით;

   დ. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

2. სტაჟიორის მიმართ, რომლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის ჩადენა დადგინდება კომისიის მიერ, სააგენტოს დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას შემდეგი სანქციის დაკისრების შესახებ:

   ა. გაფრთხილება;

   ბ. სტაჟირების შეწყვეტა.

3. სანქციის სახე დამოკიდებულია სექსუალური შევიწროების სიმძიმეს, ხარისხსა და რეციდივზე.
4. შემავიწროებლის მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს სანქციის მხოლოდ ერთი სახე.
5. დაუშვებელია სექსუალური შევიწროების ჩამდენისთვის დისციპლინური ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.